ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2020 წლის 7 თებერვალი

ქ. ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მითითება, შემოწმების აქტი, შემოწმების აქტი (მითითების გარეშე), უწყება, დათვალიერების ოქმი, მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი, სააღსრულებო ფურცელი) ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
დამტკიცდეს მითითების ფორმა დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2
დამტკიცდეს შემოწმების აქტის ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3
დამტკიცდეს შემოწმების აქტის (მითითების გარეშე) ფორმა დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 4
დამტკიცდეს უწყების ფორმა დანართი №4-ის შესაბამისად.

მუხლი 5
დამტკიცდეს დათვალიერების ოქმის ფორმა დანართი №5-ის შესაბამისად.

მუხლი 6
დამტკიცდეს მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმის ფორმა დანართი №6-ის შესაბამისად.

მუხლი 7
დამტკიცდეს სააღსრულებო ფურცლის ფორმა დანართი № 7-ის შესაბამისად.

მუხლი 8
ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის №35 დადგენილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 9
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **კარლო ჯამბურია**

დანართი 1

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური“

მითითება №

სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს მითითების გაცემით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 124-ე მუხლის შესაბამისად.

მითითება წარმოადგენს მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამართალდარღვევის ფაქტზე სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გაცემულ შენიშვნას, რომლითაც განისაზღვრება გონივრული ვადა,

რომლის ფარგლებშიც მან უნდა შეასრულოს მითითებით დადგენილი პირობები სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი ----------ობიექტის დასახლება

და მისამართი---------- დარღვევის სახეობა, შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები ---------- ----------რაც გათვალისწინებულია ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის ---- მუხლის ---- ნაწილის------ ქვეპუნქტით.

საჯარიმო სანქცია აღნიშნულ დარღვევაზე განისაზღვრება ------ ლარით;

დარღვევის გამოსწორების ვადა ---------- დღე

საჯარო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. შემოწმების აქტში აისახება ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა

მითითების პირობებთან მიმართებით;

ა) მითითება შესრულდა;

ბ) მითითება არ შესრულდა;

გ) მითითება არადროულად სრულდება.

სამშენებლო სამართალდარღვევის მითითების, შემოწმების აქტი და ადმინისტრაციული აქტის გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ ის არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 128-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

მითითების გამცემი (თანამდებობა: სახელი, გვარი და ხელმოწერა)

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა).

დანართი 2

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური“

შემოწმების აქტი №

შედგენის თარიღი ----------

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, არაუმეტეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზეც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებაში.

შემოწმების აქტი დგება----- გაცემული --- მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი ----------

ობიექტის დასახლება და მისამართი ---------- --------

შემოწმების მომენტში მშენებლობის ეტაპი: ----------

----------შემოწმებით

დადგინდა: ----------

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა: სახელი, გვარი და ხელმოწერა)

აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა).

დანართი 3

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური“

შემოწმების აქტი (მითითების გარეშე) №

შედგენის თარიღი ------- ----------

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

1. მშენებლობის შეჩერების შესახებ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისა;

2. დარღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ ადმინისტრაციული აქტის მიღებისას.

3. დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას.

4. საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას.

5. უფლებამოსილი ორგანოსათვის იმ ობიექტების ექსპლუატაციაში მისაღებად განაცხადის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია.

6. თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას.

7. მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისას.

დამრღვევის დასახელება და მისამართი----------

ობიექტის დასახლება და მისამართი----------

შემოწმების მომენტში მშენებლობის ეტაპი: ----------შემოწმებით დადგინდა:

შემოწმების აქტის შემდგენი ----------

(თანამდებობა: სახელი, გვარი და ხელმოწერა)

აქტი ჩაიბარა _____

(სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა).

დანართი 4

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური“

უწყება №

გაგზავნის თარიღი ------ ----------

სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის გამო დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით ვალდებული ბრძანდებით, გამოცხადდეთ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურში სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებული საქმის განხილვაზე, ქვემოთ მითითებულ დროს, მითითებულ ადგილზე.

დამრღვევის დასახელება და მისამართი

ობიექტის დასახელება და მისამართი

საქმის განხილვის თარიღი: ----------

საქმის განხილვის ადგილი ----------

საქმის განხილვის დრო ----------

საქმის განმხილველი თანამდების პირის (პირების) ვინაობა----------

---

სამსახურის უფროსი: _____

(სახელი, გვარი)

პირი, რომელსაც უწყება ჩაჰბარდა ----------

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

უწყების ჩაბარების თარიღი_____

დანართი 5

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური“

დათვალიერების აქტი №

------ ---------- ----------

შედგენის თარიღი მისამართი

შემდგენი პირები: ----------

დათვალიერების საფუძველი:

შემოსული წერილი № და თარიღი----------

ცხელი ხაზი № და თარიღი ----------

აშკარა დარღვევა ----------

დასათვალიერებელი ობიექტის:

მესაკუთრე----------

მშენებელი ----------

დამკვეთი ----------

სხვა ----------

დასათვალიერებელი ობიექტის ზუსტი აღწერა და პარამეტრები: ----------

---

სამართალდარღვევა სამშენებლო საქმიანობაში:

1. სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა.

2. უნებართვო მშენებლობა, რეკონსტრუქცია ან დემონტაჟი.

3. ობიექტზე საინფორმაციო დაფის განუთავსებლობა ან დაფაზე არასრული ინფორმაციის განთავსება.

4. უსაფრთხოების ღობის ან/და დამცავი ბადის დარღვევით განთავსება ან განუთავსებლობა.

5. ობიექტის ფუნქციონირება ექსპლუატაციაში მიუღებლად.

6. მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა.

7. მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა.

8. მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა.

9. იმ ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობა, რომლის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის გარეშე არსებობა უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას

ახსნა-განმარტება: ----------

დაინტერესებული პირის ხელმოწერა: ----------

შემდგენლის ხელმოწერა: ----------

ფოტოდანართი (რაოდენობა) ----------

დანართი 6

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური“

მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი

---------- ----------

შედგენის ადგილი შედგენის თარიღი

დამკვეთი, დამკვეთის წარმომადგენელი----------

მენარდე, მენარდის წარმომადგენელი ----------

არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოს წარმომადგენელი ------
---

სამშენებლო მოედანზე შევადგინეთ ეს ოქმი მასზედ, რომ მოვახდინეთ სამშენებლო სამუშაოების დათვალიერება შემდეგ ობიექტზე:

ობიექტის დასახელება----------

ობიექტის მისამართი----------

დამკვეთი----------

მენარდე----------

საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებულია----------

სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია/არ არის შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, კერძოდ:----------

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება / არ დასტურდება მშენებლობის ---------- ---------- ეტაპის დასრულება.

დამკვეთი, დამკვეთის წარმომადგენელი ----------

მენარდე, მენარდის წარმომადგენელი ----------

არქიტექტურულ- სამშენებლო საქმიანობაზე

საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი

ორგანოს წარმომადგენელი ----------

(ხელმოწერა)

დანართი 7

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია

სააღსრულებო ფურცელი №

---------- ----------

შედგენის ადგილი თარიღი

აღსასრულებელი გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო

სამშენებლო სამართალდამრღვევი ----------

სამშენებლო სამართალდარღვევა----------

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის(ბრძანების) მიმღები ადმინისტრაციული ორგანო, მიღების თარიღი და ნომერი---------- ----------

ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) სარეზოლუციო ნაწილი“

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) ძალაში შესვლის თარიღი ---------- ----------

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები----------

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები----------

სააღსრულებლო ფურცლის გაცემის თარიღი ----------

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი.